



ეთიკის კომისია რეკომენდაცია-005/14

1. შეკითხვა

2014 წლის 7 ივლისს ეთიკის კომისიას მიმართეს შეკითხვით. ეთიკის კომისიასმ იმსჯელა შეკითხვაზე და გასცა რეკომენდაცია. საქმე ეხება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას. ადვოკატი იცავს ამ საქმეზე ორი პირის (მოვალეების) ინტერესებს. ადვოკატის კლიენტებმა, ამ შემთხვევაში მოვალეებმა, შესაგებლით არ ცნეს სასარჩელო მოთხოვნა - თანხის დაკისრება. ადვოკატის კლიენტებს ერთმანეთში აქვთ პირადი დამაბული ურთიერთობა. შესაძლებელია, ერთ-ერთმა მოვალემ (კლიენტმა) საქმის მომდინარეობისას აღიაროს მოთხოვნის ვადამოსულობა ორივე მოვალის (კლიენტის) მიმართ, რაც გამოიწვევს მოვალეთა (კლიენტების) პოზიციების დაპირისპირებას, ინტერესთა კონფლიქტს. ადვოკატის მხრიდან, ამ პირების დაცვაზე უარის თქმის შემთხვევაში, ისინი ვერ შეძლებენ მოკლე ვადაში ახალი ადვოკატის აყვანას და მათი ინტერესები დაზიანდება.

2. სამართლებრივი შეფასება:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი:

ადვოკატი ვალდებულია: ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი:

1. ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი:

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი:

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.

ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დაცვისას, თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არ უნდა დაუშვას მის კლიენტებს შორის მოსალოდნელი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში რომელიმე მათგანის სასარგებლოდ მოქმედება, მეორის ინტერესების საწინააღმდეგოდ ასევე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის



პრევენციის მიზნით, წინასწარ უნდა შეატყობინოს კლიენტებს, რომ შესაძლოა წარმოექმნას ვალდებულება შეწყვიტოს მათი ინტერესების წარმოდგენა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. ადვოკატს აქვს ვალდებულება დაიცვას ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“ (აპკ-ის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი) წინასწარი გაფრთხილებით ადვოკატი თავიდან აიცილებს აღნიშნული რეგულირების შესაძლო დარღვევას და მის კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის, თუკი წარმოიქმნება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტი.

ადვოკატმა არ უნდა დაუშვას მის კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში რომელიმე მათგანის სასარგებლოდ მოქმედება მეორის ინტერესების საწინააღმდეგოდ და ამავდროულად ინტერესთა კონფლიქტის წამოქმნამდე უნდა გააფრთხილოს კლიენტები კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან მათი მომსახურების შეწყვეტის გარდაუვალობის შესახებ.